საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათასცხრამეტი წლის ცხრა ოქტომბერს მე, ნოტარიუსს, ნინო მასხულიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა №12, მომმართა ბატონმა **გიორგი შარაშიძემ.** მან განაცხადა, რომ არის **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „კუმისი რეზიდენს“**, საიდენტიფიკაციო №404578186, დირექტორი, რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიერ 2019 წლის 30 მაისს მომზადებული ამონაწერით, განაცხადის რეგისტრაციის №B19060599. მოითხოვა ბატონი **ნიკოლოზ ჩხაიძისათვის** მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა ბატონმა **გიორგი შარაშიძემ,** დაბადებულმა 1986 წლის 5 ოქტომბერს თბილისში, პირადი №01008019603, რეგისტრირებულმა ქ.თბილისში, ირ.აბაშიძის ქუჩა №25, ბინა 3.

მე მის ქმედუნარიანობაში და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, რაშიც ეჭვი არ შემპარვია. მიმნდობს განვუმარტე მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა, რის შესახებაც უნდა აცნობოს მინდობილ პირს. ამ განმარტების შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე მას. მიმნდობმა თავადაც წაიკითხა იგი, ნათლად, მკაფიოდ განაცხადა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს საზოგადოების ნებას და ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგი შინაარსის მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათასცხრამეტი წლის ცხრა ოქტომბერს მე, **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „კუმისი რეზიდენს“**, საიდენტიფიკაციო №404578186, დირექტორი, **გიორგი შარაშიძე,** დაბადებული 1986 წლის 5 ოქტომბერს თბილისში, პირადი №01008019603, ვანიჭებ უფლებამოსილებას **ნიკოლოზ ჩხაიძეს,** დაბადებულს 1974 წლის 16 ივლისს თბილისში, პირადი №01024024996, რეგისტრირებულს ქ.თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა №22, ბინა 9, წარმოადგინოს შპს „კუმისი რეზიდენს“ ქ.თბილისის მერიაში და მის დაქვემდებარებულ სამსახურებში, მათ შორის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურებში, საზოგადოების სახელით შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს საჭირო დოკუმენტები, მიიღოს თანხმობა, ნებართვა, დამტკიცებული პროექტი, მონაწილეობა მიიღოს და წარმოადგინოს პოზიცია ნებისმიერ სხდომაზე ან ადმინისტრაციულ წარმოებაში, მოაწეროს ხელი ჩემს ნაცვლად და განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება წინამდებარე დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია ექვსი თვის ვადით.

მინდობილობა დადასტურებულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ორი გადაეცა მიმნდობს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში, ერთვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიერ 2019 წლის 30 მაისს მომზადებული ამონაწერი შპს „კუმისი რეზიდენს“–ის შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის №B19060599.

გადახდილია 13,80 ლარი - აქედან: საზღაური 10,00 ლარი "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31.7 მუხლის საფუძველზე, 2,00 ლარი რეგისტრაციის საზღაური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 1,80 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

შპს „კუმისი რეზიდენს“–ის
სახელით, დირექტორი ნაკადულები გიორგი შარაშიძე

ნოტარიუსი ნინო მასხულია

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

19562114545419

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N191239122

რეგისტრაციის თარიღი

09.10.2019 წ

ნოტარიუსი: ნინო მასხულია
მისამართი: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12.
ტელეფონი: 2997150

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18